<u>პროექტი</u>

განმარტებითი ბარათი
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე
„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:

რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზია „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები, რომლის მიხედვით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - საქსტატის საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევა ხდება კონკურსით. ამასთან, იცვლება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის საქსტატის საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენის წესი.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი:

რეგლამენტის პროექტის მიზანია პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისობაში მოყვანა „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

რეგლამენტის პროექტით ცვლილება შედის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 218^1 მუხლში, რომლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტს საქსტატის საბჭოს წევრის კანდიდატურებს წარუდგენს კონკურსის შედეგად შერჩეულ პირთაგან. ამასთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტს საქსტატის საბჭოს წევრის 5 ვაკანტურ თანამდებობაზე წარუდგენს არანაკლებ 8 კანდიდატურას.

რეგლამენტის პროექტით აგრეთვე იცვლება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 218^1 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუ საქართველოს პარლამენტი პრემიერ-მინისტრს არ მისცემს თანხმობას წარდგენილ კანდიდატურებზე, პრემიერ-მინისტრი 21 დღის ვადაში წარუდგენს პარლამენტს კონკურსის შედეგად შერჩეულ სხვა პირთა კანდიდატურებს, რომლებიც აირჩევიან რეგლამენტის 218^1 მუხლით დადგენილი წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხადდება ხელახალი კონკურსი. ხელახალი კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატებსათვის თანხმობის მიცემა მოხდება რეგლამენტის 218^1 მუხლით დადგენილი წესით.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იწვევს ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტის მიღება გავლენას არ ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტის მიღება გავლენას არ ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული იმ პირების ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი პრინციპი:

რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის შემოღებას.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) რეგლამენტის პროექტის ავტორი:

რეგლამენტის პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი კახიანი

ვ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:

რეგლამენტის პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი კახიანი